

შრომითი პირობები
ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის

მუხლი 1. სამსახურებრივი მოვალეობები

ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის **სამუშაო მოიცავს** ამ სტრუქტურული ერთეულის მიერ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ობსერვატორიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფაზე ზრუნვას. ამ მიზნით იგი:

- 1.1. ხელმძღვანელობას უწევს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას მიკუთვნებულ საკითხებს;
- 1.2. წარმოადგენს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს ობსერვატორიის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოსთან ურთიერთობებში;
- 1.3. შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
- 1.4. ობსერვატორიის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ფარგლებში საჭირო ფინანსური სახსრების თაობაზე, მონიტორინგს უწევს ობსერვატორიის ბიუჯეტში სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვას;
- 1.5. სამეცნიერო საბჭოს განსახილველად წარუდგენს საქმიანობის შედეგებსა და ანგარიშებს;
- 1.6. ობსერვატორიის დირექტორს შესათანხმებლად წარუდგენს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დებულების პროექტს;
- 1.7. ზრუნავს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე;
- 1.8. ანაწილებს მოვალეობებს შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
- 1.9. ზრუნავს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულის თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და სამეცნიერო უნარ-ჩვევების ამაღლებაზე;
- 1.10. ობსერვატორიის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების რეგულირებისა და სრულყოფის შესახებ;
- 1.11. მონაწილეობს, სამეცნიერო საბჭოს წევრის სტატუსით, ობსერვატორიის მართვის ორგანოს - სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაში (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე საქმიანობის შემთხვევაში);
- 1.12. ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. თანამდებობაზე დამტკიცება

1. სამეცნიერო საბჭოს მიერ კონკურსის წესით არჩეულ პირს, შესაბამის თანამდებობაზე, პირადი განცხადების საფუძველზე, ამტკიცებს ობსერვატორიის დირექტორი.

2. დაწესებულებების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ არის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

მუხლი 3. უფლებამოსილების ვადა

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის სამტატო განრიგით.

მუხლი 5. სამუშაო ადგილი

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამუშაო ადგილი არის თბილისი ან/და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).

მუხლი 6. სხვა შრომითი პირობები

1. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.

2. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით და ობსერვატორიის შინაგანაწესით.